ხაშურის მოამბე

№40 (71) 19 ოქტომბერი, ოთხშაბათი, 2016 წელი

- ხაშურის საჭიდაო სკოლის აღიარება -

ლუკა მაისურაძე მსოფლიო ჩემპიონია

არა, შემთხვევით არ გამოგვიტანია ზემოთ ეს „მყვირალა“ სათაური. არც რაიმე ისეთი გვითქვამს, გადამეტებული დითირამბული სურნელი რომ ასდიოდეს. თუმცა, ასეც რომ იყოს, არც ამით დაშავდება რამე. დითირამბები კი არა, ამ ბიჭს ყველანაირი ქება ეკუთვნის, ჩვენი ქალაქის საჭიდაო სკოლას კი – ყველა აღმატებული ეპითეტი. ერთი წელიც არ არის გასული და მკითხველსაც კარგად უნდა ახსოვდეს, როდესაც ჩვენმა ოთხმა „თავისუფალმა” მოჭიდავემ ევროპა შეაზანზარა და საკუთარი ქალაქის სახელი ყველას დაამახსოვრა, აგერ ახლა კი ბუქარესტში, მთელი მსოფლიოს გასაგონად გაისმა: „82 კილოგრამი, ოქროს მედალი, ლუკა მაისურაძე, საქართველო, ხაშური.” ამას კიდევ დროშის აღმართვა და ჩვენი ჰიმნი მოჰყვა იქ და სიხარულის ცრემლები – აქ. არც არავის დაუმალავს ეს ცრემლები. მწვრთნელს, მეგობრებს, ოჯახის წევრებს, ყველას, ვინც იმ წუთს ინტერნეტს იყო მიჯაჭვული და იმ საოცრად დაძაბულ ფინალს უყურებდა. ფინალამდე ლუკამ საერთოდ არ გვანერვიულა გულშემატკივრები. ჯერ იყო და მასპინძელ, რუმინულ სპორტსმენს მოუთავა ხელი – 8:0. ამას ყირგიზი მიაყოლა და არც იქ დაუთმია ქულა – 8:0. შემდეგ რუსი აბურთავა, როგორც გაეხარდა და ორი დაკარგული ქულის სანაცვლოდ ათი იქით მიართვა რუსს – 10:2 და ფინალი, რომელზეც ალბათ ცალკე უნდა ვისაუბროთ. ლიტველი სპორტსმენი, რომელიც ფინალში ლუკას პირისპირ დადგა, მართლაც კარგად იყო მომზადებული. ლუკამაც პირველ წუთებში ოდნავ შეანელა ყურადღება და ეს ყველაფერი ოთხ ქულის დაკარგვად დაუჯდა. წარმოიდგინეთ ჩვენი და ყველა გულშემატკივრის მდგომარეობა, როდესაც ფინალის დამთავრებამდე ნახევარი წუთიღა რჩება და ლიტველს 4:0 მიჰყავს ანგარიში. აი, აქ იფეთქა ქართულმა სულმა, აი, აქ მართლაც წარმოუდგენელი ენერგია ჩადო ლუკამ ილეთში და... შებოჭილი ლიტველი სპორტსმენი მხოლოდ წამებს ითვლიდა, რომ დრო გასულიყო და ამ რკინის მკლავებისაგან როგორმე თავი დაეღწია.

ლუკა მაისურაძე მსოფლიო ჩემპიონია ჭიდაობა „სამბოში” ჭაბუკებს შორის.

ვულოცავთ მას, ვულოცავთ მის მწვრთნელს ბეგლარ ხარშილაძეს, ვულოცავთ მთელ სასპორტო სკოლას, ოჯახს და მთელ რაიონს.

ლუკა გვეიმედები და გვჯერა, შენ კიდევ ბევრჯერ ააღდერებ საქართველოს ჰიმნს მსოფლიოს სხვადასხვა საჭიდაო არენაზე.

გ. გოგალაძე

ხაშურში საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის უმაღლესი სტანდარტი დაფიქსირდა

რამდენიმე თვიანი დაძაბული წინასაარჩევნო მარათონის შემდეგ, საქართველოში, 2016 წლის 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნები შედგა. თუმცა, შედეგად მეორე ტური მივიღეთ, 50%-იანი ზღვარის გადალახვა ვერცერთმა მაჟორიტარობის კანდიდატმა ვერ შეძლო, შესაბამისად, განმეორებითი არჩევნების ვნებათაღელვა, ჯერ კიდევ, წინ გვაქვს. საქართველოს მასშტაბით, მთელ რიგ უბნებში, ერთმანეთს, სახელისუფლო გუნდი „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო” და ოპოზიციური ძალა, „ნაციონალური მოძრაობა” დაუპირისპირდებიან. საერთო ჯამში, საპარლამენტო არჩევნები მშვიდობიან გარემოში ჩატარდა და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოში დემოკრატიული სტანდარტის მკვეთრ ზრდას. არჩევნების მიმდინარეობასა და წვრილმან დარღვევებზე ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისის თავჯდომარეს **იმედო ლაცაბიძეს** გავესაუბრეთ.

იმედო ლაცაბიძე: პირველ რიგში, მინდა მივულოცო ხაშურის მუნიციპალიტეტის ამომრჩეველს, საარჩევნო უბნებზე ჩართულ მხარეებს და თავად საარჩევნო ადმინისტრაციას, წლევანდელი არჩევნების წარმატებით, მშვიდობიანად და სამართლიანად ჩატარება, ეს იყო ნამდვილად საარჩევნო ადმინისტრაციის გამარჯვება. როგორც უბნების და, ასევე, ჩვენი საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებმა თავი არ დაზოგეს, რათა ღირსეულად ჩაეტარებინათ წლევანდელი საპარლამენტო არჩევნები. რაც შეეხება დარღვევებს, შემძილია ვთქვა, რომ ადგილი ჰქონდა წვრილმან გადაცდომებს, რომელიც ძირითადად ეხებოდა ადმინისტრაციულ ოქმში სპეციალური სიის მონაცემების თავის დროზე



არ შეტანას კომისიის თავჯდომარის მიერ. სხვათაშორის, მეექვსე უბანზე მეც ვიმყოფებოდი, სადაც ადგილი ჰქონდა მცირედ უზუსტობას. როდესც ჩვენ მიღება-ჩაბარების აქტი გავაკეთეთ, სამწუხაროდ, ჩემს მოადგილეს შეეშალა და პირველი საარჩევნო უბნის მონაცემები შეიტანა მეექვსე საარჩევნო უბნის მონაცემებში, შესაბამისად პირველმა საარჩევნო უბანმა მიიღო 1000 ბიულეტინი. თუმცა პრობლემა სწრაფად აღმოიფხვრა და ორივე უბანმა ჩვეულ გარემოში განაგრძო მუშაობა. წლევანდელ წელს, ამომრჩეველთა აქტივობა 47,65% იყო, ანუ, ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი. ეს ციფრი 15 % ნაკლები იყო გასულ საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით და 15% მეტი თვითმმართველობის არჩევნებზე. გვაქვს, ასევე, შუალედური დასკვნა შეფასებისა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რომლის მიხედვითაც, ეს იყო ნამდვილად დემოკრატიულ გარემოში ჩატარებული არჩევნები. აღინიშნა ასევე საარჩევნო ადმინისტრაცის მუშაობის უმაღლესი სტანდარტი. ჩვენის მხრივ, ცდას არ დავაკლებთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა დაიხვეწოს და აქვე დავამატებ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამომრჩევლის კულტურასაც, ამიტომ საარჩევნო ადმინისტრაციამ, უშუალოდ პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ ამ მხრივ ამომრჩევლის განათლებაზე, რათა მათ სათანადო ინფორმაცია ჰქონდეთ არჩევნებზე და იცოდნენ, თუ რას ნიშნავს და რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის ხმა.



ხაშურში მეორე ტური „ქართული ოცნების” წარმომადგენელ ვალერი გელაშვილსა და ფრაქცია „მრეწველების” კანდიდატ სიმონ ნოზაძეს შორის გაიმართება.

თ. ახალკაცი

გაცრეცილი ფოტოები

ბევრმა ალბათ არც იცის, რომ ლიმონათის წარმოება, მთელი საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი პირველი სურამში დაიწყო. 1890 წელს, სურამში, ნიკოლოზ ჯობადეძე ლიმონათის ქარხანა აამუშავა. სხვათაშორის, ეს ყველაფერი მთელი 16 წლით ადრე ხდება, ვიდრე თბილისში მიტროფანე ლაღიძე თავის ცნობილ ქარხანას აამუშავებდა. ცნობილი ისტორიკოსი ვახტანგ ჯობაძე თავისი მოგონებების წიგნში („ჩემი თავგადასავალი") წერს: „პაპაჩემი ნიკოლოზ გიორგის ძე ჯობაძე 1900 წლიდან იყო მამასახლისი, სახალხო მსაჯული. მას ჰქონდა საკონდიტრო და ლიმონათის ქარხანა, რომელიც დაარსდა 1890წელს. ბებიაჩემი და პაპაჩემი შეძლებული მოქალაქეები იყვნენ, მათ ჰქონდათ დიდი კარგად მოვლილი შუშაბანდიანი, ორსართულიანი სახლი, რომლის პირველ სართულზეც იყო საკონდიტრო, სადაც არა მხოლოდ ნამცხვრები იყიდებოდა აგრეთვე შესაძლებელი იყო ნაყინის, კისელის ან მაწვნის მირთმევა ან ჩაის დალევა, ხოლო საკონდიტროს უკან ლიმონათისა და ნაყინის ქარხანა იყო".

ამ სურათებზე ორი ისტორიული კადრია შემონახული. ზემო ფოტოზე მე-19 საუკუნის ოთხმოციანი წლებში რიკოთის უღელტეხილზე მომხდარი საშინელი სარკინიგზო ავარიაა ასახული, რომლის დროსაც ვაგონები „ბოგლი-მოგლიეთ" აზელილან ერთმანეთში. საბედნიეროდ, ვაგონებში არ იყო ნავთობი, თორემ ამ ავარიისგან გამომწვევი ეკოლოგიური უბედურების კვალს ვინძლო დღემდეც მოვდნია.

ქვემო სურათზე კი, იგივე პერიოდში, წიფის სადგურია ასახული.

ორი ხელნაწერი ხაშურის მუზეუმიდან

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ორი ხელნაწერი. ორივე უთარიღოა და მათი დათარიღება მხოლოდ შინაარსის მიხედვით ხერხდება. ერთი მათგანი წარმოადგენს ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძის მიერ შროშელებისადმი მიცემული პირობის წიგნის (№1), ხოლო მეორე-ბარბარე ბატონიშვილის (წულუკიძისა) მიერ დარეჯან ბატონიშვილისადმი (აბაშიძისა) გაგზავნილ სამძიმრის წერილს).

ორივე დოკუმენტი გარკვეული მნიშვნელობის ინფორმაციას შეიცავს და საყურადღებო უნდა იყოს XVIII საუკუნის 90-იანი და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს, კერძოდ, იმერეთის, აგრეთვე აბაშიძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის.

ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძის შროშელებისადმი მიცემული პირობის წიგნი წარმოადგენს ქადალდზე მხედრულით შესრულებულ ტექსტს. განკეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი ან ორი წერტილი. მუზეუმში შემოტანილია 1970 წელს სურამში მცხოვრები ნიკოლოზ ხალოლოზის ძე შველიძის მიერ.

„ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, დიდმა ლევან აბაშიძის შვილმა ქაიხოსრომ თქვენ, შრ(ო)-შელეფს. მართალია, ეს შროშა სამკვიდროთ აბაშ(ი)ძის იყო, მა(გ)რამ გაუწერა ბატონი მეფვ აბაშიძეს და წ(ა)რთვა, მერე ღვთით ბატონმა ნემ(მ)ა ხემწიფემ მი(ი)ბრუნა გული და შემ(ო)წყნარა და მე მიბოძა და შაამეხვეწეთ და ეს წიგნი და პირობა მ(ო)მ(ი)ცემ(ი)ა: თუ თქვენ ნემი ერთგული იყოთ და ყოველის ბატონისას ნემი ეგრნიოსთ, თქვენ, ჩემგან არა სიკეთილი და არა ამ შროშას გარეთ აყრთ, არა გაყიდვთ და არა გაცემით არა გიშავდესთრა. არის ამის მ(ო)წამე თავათ დმერთი და ყოველი მ(ი)სი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორცეელი და უხორცელი, თუ თქვენ ნემზე არა დ(ა)შაოთ-რა, ვინც ეს წი(გ)ნი თქვენ გაგ(ი)ტეუნოს, თქვენის ცოდვის ნუქაფთამაც მეკითხვის.

არის ამ(ი)სი მ(ო)წამე მალაქ (ბეჭედი) იასშვილი ქ(ი)ხოსრო, ჭიჭ(ა)შვილი ოტია, მოურავი ცქიტაშვილი დავით".

ამ დოკუმენტში ასახულია იმერეთის სამეფო კარსა და აბაშიძეთა შორის განვითარებული მოვლენები. კერძოდ, როგორც ცნობილია, სოლომონ I-სა და აბაშიძეს შორის, საკმაოდ რთული და დაძაბული ურთიერთობაა. სოლომონის სამეფო ტახტზე ასვლისთანავე (1751წ), მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო და ტახტიდან გადააყენეს. შეთქმულთა შორის მისი პაპა (დედის მამა) ლევან აბაშიძეც იყო, რომელიც იმერეთში პირველკაცობდა და გარკვეული პრეტენზიები გაანნდა სამეფო ხელისუფლების მიმართ. როდესაც სოლომონმა ტახტი დაიბრუნა (1753 წ), სხვა შეთქმულებთან ერთად პაპაშისიც დასაჯა: ჩამოართვა სამკვიდრო სოფელი კაცხი ციხესმაგრითა და მონასტრით. მიუხედავად ამისა, ლევან აბაშიძე მაინც განაგრძობდა წინააღმდეგობას, ვერ ეგუებოდა სოლომონის მიერ გატარებულ საშინაო პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობისა და ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ. ამ საქმეში კი ლევან აბაშიძეს ლომის წილი მიუძღვოდა. 1757 წელს ლევან აბაშიძე როსტომ რაჯის ერისთავთან ერთად ოსმალოთა ლაშქარს შემოუძღვა. ხრესილთან გამართულ ბრძოლაში ოსმალოები დამარცხდნენ, ლევან აბაშიძე კი დაიღუპა, ხოლო რაჯის ერისთავმა გაქცევით უშველა თავს.

სოლომონმა გარკვეული ღონისძიებები გაატარა აბაშიძეთა საგვარეულოს წინააღმდეგ. მან ლევანის წილი მამული - სვერი და შორაპანი ციხეებით, ლიჩი, ღოდორა, დოლაური, რუფოთი, კვახჭირი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. აგრეთვე მისი კუთვნილი მამულები არგვეთში, ლომსიათხევში, ოკრიბასა და ვაკეში.

სოლომონმა ლევანის სახლიკაცები ფიცით შემოიმტკიცა და ჩამორთმეული მამულები, კაცხის, შროშისა და სვერ-შორაპნის გარდა, მაო მისცა.

სოლომონის მიერ შეწყნარებული იქნა ლევანის შვილი, მისი ბიძა ქაიხოსროც, რომელიც იმერეთში განაგრძობდა ცხოვრებას, თუმცა იგი მაინც აქტიურად გამოდიოდა დისშვილის წინააღმდეგ, იყო თავადური აშლილობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი. მარტო 1768 წელს ქაიხოსრო ლეკ-ოსმალთა ჯარით ორჯერ შეება სოლომონს, მაგრამ ორჯერვე დამარცხდა და იძულებული გახდა ოსმალეთში გაქცეულიყო. 1772 წელს იგი ლეკებთან ერთად კიდევ ერთხელ დამარცხდა ჩხერთან. ამის შემდეგ იგი ახალციხის საფაშოში გადადის და დიდხანს არ ჩანს.

1784 წელს, სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, ქაიხოსრო კვლავ გამოჩნდა ასპარეზზე და ოსმალეთის მხარდაჭერით შეეცადა იმერეთის ტახტის დაკავებას და 30 ოქტომბერს ოსმალთა 6 ათასიანი ჯარით გურიიდან შემოვიდა. იმერეთის ახალმა მეფემ დავით გიორგის ძემ სასწრაფო ზომები მიიღო და ქაიხოსროს ლაშქრობა ამჯერადაც მარცხით დამთავრდა. თურქებმა ფოთს მიაშურეს, ხოლო ქაიხოსრო აფხაზეთსა თუ ტრაპიზონში გაიქცა.

1789 წელს დავით გიორგის ძე იძულებულია, დატოვოს იმერეთის ტახტი და ახალციხის საფაშოში გადავიდეს. აქ იგი ხვდება თავის ყოფილ მეტოქეს-ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძეს, რომელმაც ერთგულების ფიცი მისცა ყოფილ მეტოქეს. სამაგიეროდ დავითმა ტახტის გაბრუნებისთვის ბრძოლაში დახმარების სანაცვლოდ, 1790 წელს ქაიხოსროს მისცა სოლომონ I-ისაგან ჩამორთმეული მამა-პაპათა სამკვიდრო ადგილ-მამულის წყალობის სიგელი. მართალია მეფე-ყოფილის სიგელს იურიდიული ძალა არ ჰქონდა და ვერც იმოქმედებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქაიხოსრომ ეს წყალობა რეალობად ჩათვალა იგი და თავადაც შეუდგა თავის მამულზე უფლება-მოსილების განხორციელებას მის განკარგვას. სწორედ ამის გამოძახილი უნდა იყოს ზ ე მ ო თ მოტანილი სიგელი.

სიგელს, მართალია, თარიღი არ უზის, მაგრამ ადვილად შეიძლება მისი ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა. ცხადია, იგი დაიწერებოდა მას შემდეგ, როცა, დავით გიორგის ძემ ქაიხოსროს „დაუბრუნა" მამა-პაპური ადგილ-მამულები, ე.ი.1790 წლის შემდეგ. რაც შეეხება ზედა ძღვარს, ამ შემთხვევაში უნდა შემოვიფარგლოთ დავით გიორგის ძის გარდაცვალების თარიღით. როგორც ცნობილია, 1794 წლის 17 სექტემბერს, ქაიხოსრო ახალციხიდან ლეკის ჯარით იმერეთისკენ წამოვიდა დავითის ტახტზე აყვანის მიზნით. 30 ოქტომბერს სოლომონ II- მ მოწინააღმდეგეები დაამარცხა. 11 დეკემბერს დავითი და ქაიხოსრო უკან, ახალციხისკენ გაბრუნდნენ. აქ 1795 წლის 11 იანვარს დავით გიორგის ძე ყვავილით გარდაიცვალა. ე. ი. ქაიხოსროს სიგელი 1790-1795 წლებს შორის არის დაწერილი. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე ალვე ციციანოვის მხედრობაშია, მოკლეს 1805 წელს ერეკანთან ბრძოლაში.

თ. ლაცაბიძე

კიდევ ერთხელ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის ირგვლივ

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების შემდეგ, ახლობლები ცდილობდნენ სახლ-მუზეუმის გახსნას, აგროვებდნენ მემორიალურ ნივთებს და დოკუმენტურ მასალებს (ამჟამად გაურკვეველია, რა ბედი ეწია მათ).

ამის თაობაზე „ივერია" (1887 წლის 12 ნოემბერი, №37) წერდა: „დიმიტრი ყიფიანის სახლობას გარდაუწყვეტია, გაამართოს სოფელ ქვიშეთში მუზეუმი, სადაც შეკრებილი იქნება ყოველივე ხელნაწერი თუ დაბეჭდილი წერილები განსვენებული დიმიტრისა. მუზეუმში იქნება აგრეთვე შეკრებილი დიმიტრის მდიდარი წიგნთსაცავი, იმისი სურათები და სხვანი".

ხუთი დღის შემდგომაც კოტე ყიფიანი იმავეს წერდა ცნობილ ჰედაგოგსა და მწერალს ნიკო ლომოურს: „ჩვენ ვმართავთ ოჯახში მამაჩემის მუზეუმს მის სახსოვრად და ყოველსფერს თავი უნდა მოვუაროთ, რაიცა რომ შეეფერებოდეს მის სახელს". ნანს, უკვე მაშინ კონკრეტული ნაბიჯიც კი გადადგმული აღნიშნული საქმის აღსასრულებლად. კოტე ყიფიანი აფრესატს თხოვს გამოუგზავნოს იოველ (ნატროვეის) ნატროშვილის სიტყვა, წარმოთქმული გორის სობორში და დაბეჭდილი „ივერიაში", ასევე თვითონ ნიკო ლომოურის გამოსვლის ტექსტი. მაგრამ ეს წამოწყება უპერსპექტივო აღმოჩნდა.

1892 წელს, დიდი მამულიშვილის ტრაგიკული აღსასრულის მეხუთე წლისთავზე, აკაკიმ შეკქმნა ქართული პოეზიის ერთ-ერთი უკვდავი შედევრი–ლექსი „ცანა თიადი", ამავე თემაზე დაიბეჭდა ზაქარია ჭიჭინაძის ბროშურა. ორი წლის შემდგომ მსგავსი რამ გაიმეორა დიმიტრის უფროსმა ვაჟმა–ნიკომ. „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება", რომელიც დაიბეჭდა ჯერ ჟურნალ „მოამბეში" (1894, №4), შემდეგ ცალკე ნაბეჭდ (იმავე წელს).

დასაფლავების ახლო ხანებში იყო მცდელობაც დიმიტრის ბიუსტი გაეკეთებინაო. 1887 წლის 17 ნოემბერს გრიგოლ ჩარკვიანი–ცნობილი გამომცემელი და ნაწერის მაღაზიის მეპატრონე–კოტე ყიფიანს წერდა: „თქვენი სურვილი ავასრულე და ვედევნაოთს ჯეითნ შესახებ მამათქვენის ბიუსტის და დიდი სიამოვნებით გავუკეთებო დიდი ზომისას და რასაც ნემთვის (ნემი სახელისათვის) გავუკეთებ ეს იქნება ნემი მოგებაო". აღნიშნული პროოფესრი მოყვარული მოქალდაკე ყოფილი ეკი საერთოდაც ეს წამოწყებაც უშედეგოდ დამთავრდა.

უფრო შედეგიანი აღმოჩნდა შემდეგი მცდელობა. გაზეთი „ცნობის ფურცელი" 1896 წლის 30 ოქტომბერს (მეთორმეტე ნომერში) იუწყებოდა: „დღეს, სადამოს, დანიშნულია ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრთა კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, განსვენებულ დ. ი. ყიფიანის ძეგლის დადგომის თაობაზე ექნებათ ლაპარაკი. ამ კრებაზედ მოწვეულია ჩვენი ახალგაზრდა და ნიჭიერი მხატვარი გ. გაბაშვილი". მაგრამ საბოლოოდ მოხდა ისე, რომ იგი შეასრულა (უფრო იაფად) ადგილობრივმა მოქანდაკე ხოდოროვიჩმა (წარმოშობით პოლონელმა) სწორედ ეს ძეგლი იქნა აღმართული დიმიტრის საფლავზე 1899 წლის 24 ოქტომბერს მთაწმინდაზე.

1912 წელს, დიმიტრის დაღუპვის 25 წლისთავთან დაკავშირებით, გაჩნდა იდეა მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად სამეცნიერო წიგნი შექმნაო. ნინო ტატიშვილი-ყიფიანისა 26 ივლისს „სახალხო გაზეთში" წერდა: „ჩვენ ხალხს არ ეკატიება დიმიტრი ყიფიანის მოღვაწეობის არქივებში. მინქმალვა, ამას ვლაღადებ მე არა როგორც მახლობელი, არამედ როგორც მისი სამშობლოს ერთ-ერთი შვილი". „დროა ჩვენ ხალხმა სრული და ნამდვილი წარმოდგენა იქონიოს მისი ღვაწლისა და პიროვნებისა", „დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის შედგენა მარტო ხომ მისი სახელის პატივისცემით არ გათავდება ჩვენთვის, ჩვენი ახალთაობა რაოდენ ზნეობრივ და სულიერ ძალას შეიძენს მისი პიროვნებისა და მოქმედების ყოველმხრივ გაცნობით." წერილის ავტორი დიმიტრი ყიფიანის ბიოგრაფიის დამწერს „შემძლე ქართველს", პირდებოდა საჭირო მასალის მიწოდებას.

წერილს გამოუხმაურა ცნობილი ისტორიკოსი სიმონ ავალიანი, ისტორიკოსს განუზრახავს ცალკე მონოგრაფია დაეწერა დიდი ქართველის შესახებ და შესაბამისი მასალებიც შეუგროვებია. სამწუხაროდ, დროის უქონლობის გამო ს. ავალიანი ქვიშეთში ვერ ჩასულა, აქ დაუნჯებული მასალა კი პირადად არ გადაუციათ. ამის შემდეგ ს. ავალიანს რომელიღაც გაზეთში ამოუკითხავს, რომ დიმიტრის შესახებ მასალების გადაცემას თითქოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმისათვის აპირებენენ.

საბედნიეროდ, „შემძლე ქართველი, აღმოჩნდა არჩილ ჯორჯაძის სახით, ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში იგი, მიუხედავად ძმიმე სენისა, გატაცებით მუშაობდა დიმიტრის მოღვაწეობაზე, რაც დაგვიტვანდა მშვენიერი მონოგრაფიით. საბჭოთა პერიოდის აოწლეულებში, შესაბამისი იდეოლოგიიდან გამომდინარე ძალზედ ცოტა რამ გაკეთდა დიდი ქართველის ღვაწლის შესწავლისა და პროპაგანდისათვის. გამონაკლისია ცნობილი ისტორიკოსის სიმონ ხუნდაძის ნაშრომი ამ კუთხით, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა.

53 წლის შემდეგ გამოცემული იქნა ოსეან უთურაშვილის წიგნი დიმიტრი ყიფიანზე, 1997 წელს თამაზ ჯოლოგუას „საშვილიშვილო მოკავშირე– დიმიტრი ყიფიანი".

2007 წლის 26 აპრილს წმინდა სინოდი მიერ დიმიტრი ყიფიანი შერაცხული იქნა წმინდანად. მას ეწოდა „წმინდა დიმიტრი ყიფიანი, სამშობლოსათვის წამებული".

მუზეუმის სათანადო დონეზე გამართვას კი დღემდე საშველი არ დაადგა. დიმიტრის ღვაწლის უკვდავსაყოფად, როგორც ავდნიშნეთ, თავდაპირველად მისი შთამომავლები ცდილობდნენ, თუმცა მათ ამ ნანაფიქრს ძნელბედობის წლებმა შეუშალა ხელი. 1910-12 წლებში დიმიტრის უფროსის ვაჟიშვილის ნიკოს ქალიშვილები ცდილობდნენ ამ იდეის განხორციელებას. ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილში ნიკოს ქალიშვილი ვარია წერს თავის უფროს დას ვეტას „მე ჩამოდიეარ თქვენთან ქართველი, ქვიშეთის მიწის სანახავად, სამშობლოს ბედის გასაგებად, მუზეუმის საქმის დასაწყებად".

საუკუნე ნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც მუზეუმის გამართვა-გამოწყებას მრავალმა ხელისუფალმა მიზეზებმა არ მისაცა საშუალება განეხორციელებინათ ეს დიდი და საპატიო საქმე, რომელიც გრძელდება დღემდე.

არის თუ არა დღეს რაიმე ხელსუფლელი მიზეზი? ამის გარკვევა იმათთვის მიმინდვია, ვიზეც არის დამოკიდებული ამ პრობლემის მოგვარება. ფაქტი კი ერთია, სულიერი სიზარდოს, სულიერი ღირებულებების უარყოფა, უყურადღებობა და უპატივისცემლობა თავიანთი ერის დიდი მამულიშვილის მიმართ მიუხედავად მისი დიდი ღვაწლისა სამშობლოსადმი.

„გადავარჩინოთ კულტურა და ჩვენც გადავრჩებით". შევარდნაძის მიერ გაკეთებული ეს სიტყვა მოარულ ფრაზად დარჩა და მას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ვისაც სამშობლო უყვარს, დიახ კულტურის გადარჩენთ უნდა დაიწყოს მოღვაწეობა, მაგრამ როდესაც წინა პლანზე პირადი ინტერესები ჩნდება მათ მიმართ შეგონება სრულიად უაზროდ მიმაჩნია.

ახლა არჩევნებია. ვინ რა დაპირებებით და სურვილებით მოდის ხელისუფლებაში, ესეც სულ მალე გამოჩნდება, ვინ რას მოუტანს თავის სამშობლოს, ჩვენ კი ლოდინით დაღლილებს, ლოდინის მეტი რა დაგვრჩენია?!

გივი გელაშვილი

ხაშურში ევროპული დონის ჰემოდიალეზის ცენტრი ფუნქციონირებს

ჩვენს მკითხველს უკვე ვაცნობეთ, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში ჰემოდიალეზის ცენტრი გაიხსნა, რომელიც სრულიად უფასოდ, თირკმლის უმარისობით დაავადებულ პაციენტებს უწევს სამედიცინო დახმარებას. ეს სამედიცინო მომსახურება სახელმწიფოს ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამის ფარგლებშია უზრუნველყოფილი, რომლის უმთავრესი მიზანია თირკმლის უკმარისობით დაავადებული ავადმყოფების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. ცენტრი პაციენტებს უმაღლეს სტანდარტებს სთავაზობს, სადაც კვალიფიციური ექიმები და ექთნები ყველა საჭირო სახის პროცედურებს ატარებენ. სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად კლინიკის ექიმ-ნეფროლოგს სოსო ჯიბილაშვილს გავესაუბრეთ, რომელმაც ცენტრის მუშაობასა და აღნიშნული პროგრამით სარგებლობის წესზე გვიამბო.

- როდის გაიხსნა ჰემოდიალეზის ცენტრი?

– ჰემოდიალეიზის ცენტრი ოფიციალურად 8 აგვისტოს გაიხსნა. კლინიკა თანამედროვე სტანდარტებისაა და პაციენტები შესაბამისი პროცედურების ნატარება ნამდვილად შეუმსუბუქდებათ, გამომდინარე იქიდან, რომ ამ ცენტრის გახსნამდე მათ სხვადასხვა ქალაქებში უწევდათ სიარული, კეირაში რამოდენიმეჯერ. ამ ობიექტის გახსნა კი მოსახერხებელი იქნება როგორც ხაშურელებისთვის და მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის, ასევე მიმდებარე რეგიონებისთვისაც.

- პირველ რიგში, რომ გვითხრათ ორგანიზმის რა მდგომარეობაა თირკმელების უკმარისობა?

– თირკმელების უკმარისობა თირკმლის ფუნქციის მოშლაა, რომელიც გამოიხატება განსაზღვრული კლინიკურ-ლაბორატორიული სიმპტომებით ან სინდრომით და სიცოცხლისთვის საშიშ ერთ-ერთ გართულებას წარმოადგენს. მას საფუძვლად უდევს საკმაოდ რთული ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც შეიძლება განპირობებული იყოს როგორც თირკმლის პირველადი დაზიანებით, ასევე არათირკმლისმიერი პათოლოგიებითაც. განასხვავებენ თირკმლის უკმარისობის ორ ტიპს: თირკმლის მწვავე უკმარისობას და თირკმლის ქრონიკულ უკმარისობას.

- რას მოიცავს სახელმწიფო პროგრამა დიალეზი?

– პროგრამა მოიცავს ჰემოდიალეზით უზრუნველყოფას, ნეფროლოგის კონსულტაციას, ლაბორატორიულ გამოკვლევებს საჭიროების შემთხვევაში და ასევე მედიკამენტების უზრუნველყოფასაც. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან და პაციენტის მხრიდან თანაგადახდას, რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებს.

- რამდენი პაციენტის უზრუნველყოფას შეძლებს ცენტრი და ამჟამად რამდენი დიალეზის საჭიროება მქონე გყავთ?

– ცენტრი თავისუფლად შეძლებს 60 პაციენტის უზრუნველყოფას. ამჟამად კი 36 პაციენტს ვმკურნალობთ. მკურნალობის ეტაპი კი შემდეგნაირია: ერთ ჯერზე ვიღებთ 10 პაციენტს და ოთვეზა 10 აპარატს. ეს პროცედურა ოთხ საათიანია და კეირაში სამჯერ უტარდებათ პაციენტებს.

- რამდენად კვალიფიციური დახმარება უტარდებათ ბენეფიციარებს ჰემოდიალეზის ცენტრში?

– ცენტრი, ნამდვილად, უმაღლეს სტანდარტებითაა უზრუნველყოფილი და კვალიფიციური ექიმ-ექთნებით დაკომპლექტებული. შესაბამისად, პაციენტებს საუკეთესო მომსახურებას ვთავაზობთ. კლინიკაში ასევე გვაქვს გერმანიიდან ჩამოტანილი თანამედროვე ტიპის დიალეზის აპარატები და გვყავს ამ აპარატების ინჟინერი, რომელიც მათ გამართულად და შეუფერხებლად მუშაობას უზრუნველყოფს. ცენტრში სულ 8 ადამიანია დასაქმებული.

- ვის უნდა მიმართოს პაციენტმა აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად?

– დიალეზის მომსახურების მისაღებად, ბენეფიციარმა, სოციალურის მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს გეგმიური მომსახურების წინასწარი დოკუმენტების ნუსხა: პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფორმა ასი – პაციენტის დიაგნოზი. სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია, პაციენტს მიაწოდოოს ინფორმაცია სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებები არსებული ტექნიკური რესურსების შესახებ, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით შესაბამისად, პაციენტებს არ მოუწევთ ბორჯომში ან გორში წასვლა და მკურნალობის იქ გავლა. მომსახურების უფლებით დაკმაყოფილება უნდა მოხდეს მომართვის რიგითობის მიხედვით.

თ. ახალკაცი

ა(ა)იპ „ხაშურსერვისისა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტების აუდიტორული შემოწმების შედეგები

მიმდინარე წელს განხორციელდა ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ აუდიტორული შემოწმება. ორგანიზაცია ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე დასახლებული პუნქტების ტერიტორიების შიდა გზების დასუფთავება, განათება და შიდა გზების დაპროფილება.

ბ) დასახლებათა ტერიტორიების, ქუჩების, მოედნების, ტროტუარების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, გათოვლა, საოჯახო-სამეურნეო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა სახის (ნაგავი და გადასაყარი) ნარჩენების დახარისხების, გატანის, შეგროვებისა და ტრანსპორტირების ორგანიზება;

გ) სანაგვე urnebi, კონტეინერების, ნარჩენების განთავსების ადგილების (ნაგავსაყრელების) მოვლა-პატრონობა და ნარჩენების გადასამუშავებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

დ) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების, მაგისტრალების, ქუჩების, გზების, საზოგადოებრივი ადგილების, სკვერების, პარკების, გამწვანებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების ქალაქგანათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, გარე განათების ქსელების პროექტირება, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია და შენობა-ნაგებობების დეკორატიულ-მხატვრული განათება;

ე) სადღესასწაულო და სხვა ღონისძიებების მხატვრულ-დეკორაციული (სადღესასწაულო ილუმინაციები, დეკორაციები, დროშები, ბანერები, სკვერები, ფეიერვერკები, და ა.შ.) და სხვა საჭირო ატრიბუტიკითა და გახმოვანება-განათებით უზრუნველყოფა;

ვ) ხაშურის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ამ სფეროში მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების განხორციელება-ხელშეწყობა.

საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამა განისაზღვრა 1212199,54 ლარით, მათ შორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავებისა და სანიტარული ღონისძიებების ქვეპროგრამა 669 000,0 ლარი, მუნიციპალიტეტის დასახლებებში გარე განათების ქვეპროგრამა 226999,54 ლარი, ქალაქის ქუჩების, დაბა სურამის და მუნიციპალიტეტის დასახლებასთან დამაკავშირებელი გზების მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა 250000,0 ლარი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრის დარიგების მომსახურეობის ქვეპროგრამა 57000,0 ლარი, სოფლების - ქვიშხეთის, წაღვლის, ალის და დაბა სურამის წყალსადენის სისტემის ზედამხედველობა და მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამა 9200,0 ლარი. სხვა შემოსულობები და შემოსავლები კი განისაზღვრა 60000,0 ლარით, სულ 1272199,54 ლარი.

პროგრამის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხარჯები ძირითადში ნორმების ფარგლებშია, გადახარჯვები ზოგიერთ პუნქტებში გამოწვეულია ობიექტური აუცილებლებით.

ორგანიზაციაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია, მათ შორის საშუალო და მაღალ მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებულთა გამოცდილება და განათლება სრულიად აკმაყოფილებს ორგანიზაციაში დაკავებულ თანამდებობათა მოთხოვნებს.

ორგანიზაციის მიერ შესყიდული მატერიალური ფასეულობების შემოწმებით დადგინდა, რომ ყველა მატერიალური ფასეულობა იმყოფება ადგილზე და მათი ღირებულება შეესაბამება მათზე გადახდილ ფასს. ინვენტარის გადაცემა მომხდარია მიღება-ჩაბარების აქტებით, რაც დასტურდება აქტზე ხელმოწერებით.

2015 წლის სანგარიშო წელს ა(ა)იპ „ხაშურსერვისს“ გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული აქვს 5740,0 ლარის ღირებულების შესყიდვა. შესყიდვის იპერაცია განხორციელებულია სამჯერ ინდ. მეწარმე მალხაზ ფცქალაძისაგან.

ცოცხის გამარტივებული წესით შესყიდვის უფლება ორგანიზაციას არ ჰქონდა, ვინაიდან საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კრძალავს 5000,0 ლარს ზევით გამარტივებული შესყიდვის წესით ეროვნული ობიექტების (საგნების) სახელმწიფო შესყიდვას.

ორგანიზაციაში ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, არ შეიცავს დიდ უხუხტობებს და უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას.

შემოწმებული საანგარიშო პერიოდისთვის ანგარიშების წარდგენა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ხდება მუდმივად, დადგენილ ვადებში.

საუფლებო პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხული მოლიანი საბიუჯეტო თანხებიდან არამიზნობრივ ხარჯვას ადგილი არა ჰქონია. დანახარჯები განხორციელებულია პროგრამის ამოცანათა შესასრულებლად გამოწვეული აუცილებლობით, პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

ორგანიზაციის ხარჯებიდან ყველაზე დიდი წილი მოდის საწვავის შეძენაზე, რომლის შეძენაც მოხდენილია ძირითადად კონსოლიდირებული წესით სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებული კომპანიებიდან, საწვავის შეძენის რეალობა დასტურდება საკალაური ანგარიშ-ფაქტურებით.

ორგანიზაციის აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ იქნა სხვადასხვა ბარემოებები, რომელთა გამოსასწორებლად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად შეტანილი იქნეს ცვლილება ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ წესდებაში - შემუშავდეს კონკრეტული წინადადებები ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ მიზნობრივი შემოსავლების შესახებ, განისაზღვროს საკუთარი შემოსავლების მიღების სახეები, მისი აღრიცხვა-განაწილების წესი, ნათლად იქნეს გამოკვეთილი დირექტორის ფინანსური პასუხისმგებლობის საკითხი და დასამტკიცებლად წარედგინოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს.
- დაწესებულების წესდების მოთხოვნებიდან გამომდინარე - საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის“ შესახებ თავი 6, მუხლი 72-73-ის შესაბამისად შემუშავდეს და მუნიციპალიტეტის გამგებელს შესათანხმებლად წარედგინოს ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ შინაგანაწესი.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი შეფასების ინდიკატორებიდან გამომდინარე ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ დირექტორმა პერიოდულად (წელიწადში ორჯერ) მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგინოს ანგარიში „ხაშურსერვისის“ მიერ გაწეული მუშაობის და დაწესებულების წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ.
- ვინაიდან დაწესებულებას დიდი ოდენობით უწევს სახელმწიფო შესყიდვებით სარგებლობა, დაწესებულების ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული მონიტორინგი უნდა დააწესოს სახელმწიფო შესყიდვების პროცესებზე, რათა აღარ მოხდეს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - მოთხოვნების დარღვევა.
- გარდამავალი ნაშთების აღრიცხვისა და გამოყენების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმ ხიანლებებს, რომლის მოთხოვნების მიხედვით უნდა მოხდეს დადგენილი წესით გარდამავალი ნაშთების აღრიცხვა და გამოყენება.
- მოსალოდნელი რისკების თავიდან აცილების და დაწესებულების უფრო ეფექტიანად ფუნქციონირების მიზნით, შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც 2016 წლის ბოლომდე უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობისთვის საჭირო მუნიციპალური და საკუთარი ქონების (შენობა-ნაგებობები, ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებები და სხვა) სრულ ინვენტარიზაციას, მათ შესაძლებელ მარკირებას, ვადაგასული და გამოუსადეგარი ქონების, არაეფექტური სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერას ან გასხვისებას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

***

საანგარიშო პერიოდში შემოწმებულ იქნა გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტები, როგორიცაა:

- ა(ა)იპ ხაშური სამუზეუმო გაერთიანების შენობის გამაგრების სამუშაოების, რემონტის, საინჟინრო - საექსპერტო მომსახურების გაწევა.

პირველ რიგში, აუდიტის ჯგუფმა შეამოწმა დაწესებული პროექტის განახორციელებლად მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სბიუჯეტო თანხების ცვლილებების დინამიკა, რის შემდეგაც დადგენილ იქნა:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებით - ა(ა)იპ ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებას დაუმტკიცდა მუზეუმის ხელშეწყობის პროგრამა 152,3 ათასი ლარის ოდენობით;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში შვიდი ცვლილება და სამუზეუმო გაერთიანების ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა 160,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის, არაფინანსური (მუზეუმის ოთახების რემონტი) აქტივების ზრდისთვის 8,0 ათასი ლარი;
- 2015 წლის 4 მაისის №15 დადგენილებით ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში შვიდი ცვლილება და სამუზეუმო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა 164,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა (ექსპერტის მომსახურება 4,0 ათასი ლარი) 12,0 ათასი ლარით;
- 2015 წლის 6 ივლისის №24 დადგენილებით - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში შვიდი ცვლილება და სამუზეუმო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა 175,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა 23,0 ათასი ლარით;
- 2015 წლის 7 სექტემბრის №39 დადგენილებით ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში შვიდი ცვლილება და სამუზეუმო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა განისაზღვრა 225,3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა 73,0 ათასი ლარით.
- 2015 წლის 5 ოქტომბრის №44 დადგენილებით ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში შვიდი ცვლილება და სამუზეუმო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა საბოლოოდ განისაზღვრა 232,3 ათასი ლარით, მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდა 79,0 ათასი ლარით.

ა(ა)იპ ხაშური სამუზეუმო გაერთიანების განვითარების ხელშეწყობი პროგრამის ფარგლებში 2015 წლის აგვისტომდე ბიუჯეტი განისაზღვრა - მუზეუმის შიდა ოთახების რემონტისა და მუზეუმის ცენრალური შენობის გამაგრებითი სამუშაოებისათვის სულ 79,0 ათასი ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ მუნიციპალიტეტში მოქმედი საპროექტო საწარმოების (შ.პ.ს. „არქიტექტორი“ და სხვა) მიერ ვერ მოხერხდა სამუზეუმო გაერთიანების ცენტრალური შენობის (მდებარე კოსტავას №2 -ში) გადაუდებელი აუცილებელი გამაგრებითი სამუშაოების სახეების და რაოდენობის დადგენა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ 2015 წლის 17 სექტემბერს - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმდა 164 ხელშეკრულება საექსპერტო მომსახურების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა ქ. ხაშურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე მუზეუმის ორსართულიანი (ნაწილობრივ სარდაფის) შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, სახელშეკრულებო თანხამ შეადგინა 15877,69 ლარი. ექსპერტ მ. კალანდაძის მიერ შედგენილ იქნა მუზეუმის შენობის გამაგრების ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა და მუზეუმის შენობის გამაგრებითი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ 2015 წლის II კვარტლის მიმდინარე ფასების დონეზე შეადგინა 57667,88 ლარი.

2015 წლის 25 სექტემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ტენდერი - შ 150026134 - ხაშურის ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანების შენობის გამაგრებითი სამუშაოების შესახებ, თანხით 57 667,88 ლარის ოდენობით. აღნიშნული ტენდერი არ შედგა იმის გამო, რომ ტენდერში მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა საწარმომ (ინდ/მეწარმემ).

გამომდინარე აქედან, 2015 წლის 27 ოქტომბერს გადაუდებელი აუცილებლობის წესით - მუხლი 10 ,პუნქტი 3, ქვეპუნქტი „ბ“ გამარტივებული შესყიდვის ტენდერის პირობების დაცვით ინდივიდუალურ მეწარმე თემურ ლომიძესთან გაფორმდა №192 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 57667,88 ლარი, ხელშეკრულების ვადა კი განისაზღვრება 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

შესყიდვის ობიექტი მიღებულია მიღება - ჩაბარების აქტის მუშვეობით, რომელსაც თან ახლავს შესრულებული სამუშაოს აქტები (ფორმა №№2), რომლებიც დადასტურებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ. შესრულებული სამუშაოს აქტთან (ფორმა №2) ერთად შემსრულებლის მიერ წარმოდგენილია საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურები (სასაქონლო ზედნადებები), თანხების განაღდება ინდ. მეწარმე „თემურ ლომიძეზე“ მოხდენილია უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2015 წლის 22 დეკემბერს გადარიცხულია 17183,78 ლარი და 2016 წლის 29 იანვარს - 38902,74 ლარი, სულ - 56086,52 ლარი, რითაც მოლიანად განხორციელდა სამუზეუმო გაერთიანების შენობის გამაგრებით სამუშაოებზე გაწეული ხარჯების თანხების დაფარვა.

2015 წლის 2 ივნისს ინდ. მეწარმე ზურაბ ლომუაშვილთან ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმდა ხელშეკრულება №77 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, შ 150012086 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების ობიექტი განისაზღვრა ქალაქ ხაშურში კოსტავას ქ. №2-ში მუზეუმის შენობის შიდა ოთახების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2122,38 ლარი.

შესყიდვის ობიექტი მიღებულია მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც თან ახლავს შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2), რომელიც დადასტურებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ, ანგარიშსწორება ინდ. მეწარმე ზურაბ ლომუაშვილთან მოხდენილია უნაღდო ანგარიშსწორების წესით - 2015 წლის 23 ივნისს 2047,38 ლარის ოდენობით.

სულ სამუზეუმო გაერთიანების შენობის - მდებარე ქ. ხაშურში კოსტავას ქ. №2-ში -სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (მუზეუმის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის და ხარჯთაღრიცხვისთვის, გამაგრებითი სამუშაოებისათვის, შიდა ოთახის რემონტისთვის), რითაც მოხდა მუზეუმის შენობის არაფინანსური აქტივების ზრდა, გახარჯულია 74011,59 ლარი. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით გამოყოფილი იყო 79000 ლარი.

აღნიშნული საკითხის შესწავლის დროს, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილი პროექტის განხორციელების დროს გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების თანამშრომლების მხრიდან რაიმე გადაცდომებს ადგილი არა ჰქონია, საბიუჯეტო თანხები დახარჯულია მიზნობრივად, ხელშეკრულებაში და პროექტში ცვლილებები კი გამოწვეული იყო ობიექტური საჭიროებიდან გამომდინარე, რაც დასაბუთებულია შესაბამისი დოკუმენტაციით.

ა(ა)იპ ხელისბარეშე სახელოვნები საგანმანათლებლო დაწესებულების - ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობის ფასადის მოწყობის სამუშაოების ხარისხის დადგენა.

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები, მიღება-ჩაბარების აქტები, საექსპერტო დასკვნები და სხვა. პირველ რიგში გაანალიზდა მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები აღნიშნული პროექტის დაფინანსების შესახებ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №13 დადგენილებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში შვიდი ცვლილება და ა(ა)იპ ხაშურის სამუსიკო სკოლის დამატებით გამოეყო 103,0 ათასი ლარი. მათ შორის ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის მოწყობისთვის 100,0 ათასი ლარი და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისთვის 3,0 ათასი ლარი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 5 ოქტომბრის №44 დადგენილებით - ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილებაში კიდევ შვიდი ცვლილება და ა(ა)იპ ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის მოწყობისთვის საბოლოოდ დამტკიცდა 88,3 ათასი ლარი და შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვისთვის 3,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „ხაშურსერვისისა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტების აუდიტორული შემოწმების შედეგები

2015 წლის 7 აგვისტოს ელექტრონული ტენდერის - შ 150018034 - ჩატარების შედეგად გამარჯვებულ კომპანია შპს „რემონტალ“-სა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის გაფორმდა №125 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების მიხედვით, შესყიდვის ობიექტია ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა, ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 88287,16 ლარი დ.დ.გ- ს გათვალისწინებით, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით.

2015 წლის 7 აგვისტოს №125 ხელშეკრულების მე-11 მუხლის, შპს „რემონტალ“-ს დირექტორის შალვა ჭოხონელიძის 2015 წლის 13 აგვისტოს №16/08-15, №17/08-15 და 2015 წლის 23 სექტემბრის №604 წერილების, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გურსასაშვილის 2015 წლის 18 აგვისტოს №1270 და 28 სექტემბრის №1473 წერილების, შპს „არქიტექტორი“-ს დირექტორის მერაბ მაყაშვილის 2015 წლის 20 აგვისტოს №84 და 2015 წლის 28 სექტემბრის №97 წერილების, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სერგო ლალიაშვილის 2015 წლის 31 აგვისტოს და 2015 წლის 29 სექტემბრის მოხსენებითი ბარათების, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის აგვისტოს №№108 ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნების საფუძველზე შვიდი ცვლილება 2015 წლის 7 აგვისტოს №125 ხელშეკრულებაში და სხვა უმნიშვნელო ცვლილებებთან ერთად, შეიცვალა გარე ფასადის მოსაპირკეთებელი ფილების მარნეულბელი - კერძოდ, 6 მმ სისქის მინამაგნეზიტის თეთრი ფილები შეცვლილი იქნა 8 მმ სისქის მინამაგნეზიტის ფილებით.

შესყიდვის ობიექტი მიღებულია და გაფორმებულია მიღება - ჩაბარების აქტით, ამასთან ერთად შემსყიდველს წარედგინა შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა №2), დადასტურებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ. აღრეფვე მიღება - ჩაბარების აქტისა და შესრულებული სამუშაოს აქტთან (ფორმა №2) ერთად შემსყიდველს წარედგინა შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნაფები და -ტიპის ინსპექტირების ორგანო „შპს ოპტიმალ გრუპ +“ ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში.

შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 88287,16 ლარს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება კი - 85942,88 ლარს. შესრულებულ სამუშაოზე ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ გადარიცხულია თანხები 2015 წლის 10 ოქტომბერს 61801 ლარი და 2015 წლის 10 დეკემბერს 22447,58 ლარი, სულ - 84248,58 ლარი. ასევე შპს „არქიტექტორ“ 2015 წლის 18 აგვისტოს გადარიცხულია ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედეგენის საფასური 2499,99 ლარი (ხელშეკრულება №74, 22.05.2015 წელი), სულ ჯამში - 86 748,57 ლარი.

როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა გვიჩვენა სამუსიკო სკოლის ფასადზე გამოყენებული მინამაგნეზიტის ფილა გამოდგა დაბალი ხარისხის, რაც გამოიხატა შემდგომში: აბმოხფერული ნალექების, ქარის და მზის ზემოქმედებით ფილებმა განიცადეს დეფორმაცია (განსაკუთრებით ნაცრისფერმა), ფილების დიდი ნაწილი ჩამოვიეშვა, დარჩენილი ნაწილი კი ამძვრალია, ნაწილი კი დამაგრების ადგილებში დაბზარულია.

გამომდინარე აქედან, ხაშურის მუნიციპალიტეტმა ხაშურის სამუსიკო სკოლის ფასადის მოწყობისთვის გამოყენებულ მინამაგნეზიტის ფილების ვარგისიანობის ხარისხის შესაბამისობის სამშენებლო ნორმებთან დადგენის მიზნით, 2016 წლის №07/3295 წერილით მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

აღნიშნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ ფილების დაზიანების და ჩამოვარდნის მიზეზი არის გამოყენებული მინამაგნეზიტის ფილების დაბალი ხარისხი, ფასადებში გამოყენებული მინამაგნეზიტის ფილების სიმკვრივე უნდა იყოს 1,1 გ/სმ3 (ასეთი მინამაგნეზიტის ფილებია არის პრემიუმ კლასის და ფასადის ფილები).

სამუსიკო სკოლის ფასადიდან აღებული მინამაგნეზიტის ფილის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევით გამოყენებული ნაცრისფერი ფილის სიმკვრივე აღმოჩნდა 0,7 გ/სმ3, ხოლო მოთეთრო ფილების - 0,93 გ/სმ3. როგორც ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, უფრო დაზიანებულია ნაცრისფერი ფილები. არსებული მინამაგნეზიტის ფილების ტექნიკური მოთხოვნებით ასეთი ფილების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ შიდა მოპირკეთებისათვის. ასევე დარღვეულია თვითონ ფილების დამაგრების ტექნოლოგია ფილების დამაგრება კარკასზე უნდა ხდებოდეს ყოველ 25 სმ-ში, რეალურად კი ფილები დამაგრებულია 40-50 სმ-ის ინტერვალით. შემორჩენილი ფილების ძირითად ნაწილს ემჩნევა ბზარები დამაგრების ადგილებში და მოსალოდნელია მათი ჩამოცვენაც, ამიტომ აუცილებელია მათი მოლიანად მოხსნა. ხოლო თუ რა სახის მოსაპირკეთებელი მასალა შეიძლება გამოყენებული იქნეს სანაცვლოდ, ამის გადაწყვეტა უნდა მოხდეს დამტკიცებული პროექტის მიხედვით ან არქიტექტორთან და სხვა შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით. აღნიშნულ შეფასებას ჩვენ მოლიანად ვიზიარებთ და ვეთანხმებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ფაქტიური მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა შემსრულებელი კომპანიის მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება აღნიშნული პროექტის განხორციელებაში, რაც მდგომარეობს, როგორც გამოყენებული მოსაპირკეთებელი მასალის დაბალ ფიზიკო-მექანიკურ მახასიათებლებში (სიმტკიცე, ფორმამედეგობა საექსპლუატაციო ხანგამძლეობა), ასევე ფილების დამაგრების ტექნოლოგიის დარღვევაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვას საკითხი შემსრულებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ.

თამაზ ლომიძე,

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი

ხაშურის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის ახალმოსახლეობა

რამდენიმე დღის წინ, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ხაშურის რაიონული ცენტრის რეაბილიტირებული შენობა ოფიციალურად გაიხსნა. ცენტრის პრეზენტაციას, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორი და-

ვით ტორუა, ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატი ვალერი გელაშვილი და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი დაესწრნენ. შენობა, რომელშიც აქამდე იყო სასწრაფო-სამედიცინო ცენტრი, სტიქიის დროს იტბორებოდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, მათ დღეს ახალი, რეაბილიტირებული შენობა აქვთ, რომელიც ქმნის სერვისის გაუმჯობესების პირობას. სტუმრებმა შენობის დათვალიერების შემდეგ კმაყოფილება გამოთქვეს:

დავით ტორუა-სასწრაფო-სამედიცინო ცენტრის დირექტორი:

–სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის ხაშურის რაიონულ სამსახურს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დახმარებით გადმოეცა ახალი, გარემონტებული შენობა, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ჩვენი ბრიგადის თითოეული წევრისთვის. ეს, რა თქმა უნდა, სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანების, სამედიცინო აღჭურვილობის განახლების შემდეგ, ხაშურის მოსახლეობას მიეწოდება მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სერვისი.

დავით სუპატაშვილი-ხაშურის სასწრაფოს მენეჯერი:

–ახალ შენობაში გადმოსვლის შემდეგ, დაემატა ერთი ბრიგადა, გვყავდა სამი, ახლა გვყავს ოთხი, შესაბამისად, გაიზარდა პერსონალის რაოდენობაც. ამან გაუმჯობესა მოსახურების სერვისი. მანქანები აღიჭურვა ახალი კარდიოგრამების აპარატებით, დეფილიატორებით, რომლებიც მოძველებული იყო და რაოდენობრივად არ აკმაყოფილებდა მანქანებს. ყველა მომსახურე პერსონალს გადმოეცა განახლებული ფორმები. სერვისის განახლებამ შეამცირა დაგვიანებების შემთხვევები.

ვიყოთ ქველმოქმედნი

15-16 ოქტომბერს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, ხაშურის სასპორტო სკოლის დარბაზში გაიმართა ალექსანდრე მადალდაძისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო ტურნირი ჭიდაობა - ძიუდოში.

ალექსანდრე (ალიკა) მადალდაძეს, რომელიც ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ბრინჯაოს მედლის მფლობელია, რამდენიმე წლის წინ ტრამვის შედეგად განუვითარდა თავის ტვინის სიმსივნე, გაუკეთდა უმძიმესი ოპერაცია, მაგრამ სიმსივნემ მხედველობის ცენტრი დააზიანა და ახალგაზრდა სპორტსმენი დაბრმავდა. მეგობრების იმედად მყოფი, შეეგუა ამ მძიმე რეალობას, მაგრამ აღმოჩნდა რომ ამით არ დასრულდებულა მისი განსაცდელი - დაეწყო სმენის დაქვეითება - სმენის ნერვის ატროფიის პროცესი ინტენსიურად პროგრესირებს. ქართველი ექიმების ვარაუდით შესაძლებელია სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნება, მაგრამ პაციენტი გრძნობს, რომ სმენა დროთა განმავლობაში მკვეთრად ქვითდება.

გაჩნდა გარკვეული შანსი იმისა, რომ გერმანელმა ექიმებმა ჩაუტარონ საფუძვლიანი კვლევა და მკურნალობა.

ვისაც შეგიძლიათ, დავეხმაროთ 34 წლის უსინათლო კაცს, რომელსაც ახლა სმენის ნერვის ატროფიაც ემუქრება.

სტუმრად ბიბლიოთეკაში

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბიბლიოთეკის სტუმრები იყვნენ მეექვსე საჯარო სკოლის პირველკლასელები პედაგოგ-ნინო ბარბაქაძის ხელმძღვანელობით.

მოსწავლეები გაეცნენ ბიბლიოთეკის ისტორიას, სარგებლობის წესებს და დაათვალიერეს ბიბლიოთეკის სივრცე.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა მანანა აღაჯანოვმა პატარებს იაკობ გოგებაშვილზე მომზადებული პრეზენტაციაც წარმოუდგინა და მწერლის შესახებ ესაუბრა.

ქვიშხეთის საბავშვო ბაღი ექნება

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიშხეთში გრძელდება საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები. აღნიშნულ სოფელში ბაღი ათწლეულების განმავლობაში არ არსებობდა, რაც პრობლემას უქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას. ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქვიშხეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა აუცილებლობად მიიჩნია.

ამ ეტაპისთვის აშენებული და გადახურული შენობა პროექტის ფარგლებში მთლიანად კეთილმოეწყობა; დამონტაჟდება კარ-ფანჯარა, დაიგება პარკეტი, კერამოგრანიტის იატაკი, მეტლახის ფილები. მოხდება შენობის შიდა მოპირკეთება, მოეწყობა კიბეები და პანდუსი, მოეწყობა შიდა კანალიზაცია, წყალმომარაგება, გათბობა-ვენტილაცია. დაგეგმილია საბავშვო ბაღის შემოღობვაც.

სამუშაოები, რომელთა დირებულება 194440 ლარია, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

განცახადება

2016 წლის 11 დეკემბერს, 12 საათზე, ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ოსიაურში მდებარე შპს „ელისი 2015“-ის კუთვნილი ასფალტის ქარხნის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება ასფალტის ქარხნის ექსპლუატაციის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.

ხაზოგადოების წარმომადგენლებს საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

ქ. ხაშური, სოფ. ოსიაური, შპს „ელისი 2015“-ის კომპანიის ოფისში, ტელ: 5 58 10 22 50

ქ. გორი, გორკის ქ.№159, შპს „ შ როუკ“-ის ოფისში, ტელ. 5 99 70 80 55

ხაზოგადოების წარმომადგენლების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

საკონტაქტო პირი - დავით მაყაშვილი, ტელ. 5 99 70 80 55

D ადმინისტრაცია

ხაშურის მოამბის რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მურად მთვარელიძეს დის

ნანი მთვარელიძის

გარდაცვალების გამო

ძმები გიორგი, ანზორი, ომარი, ბიძაშვილები, რაგული, ოლეგი, ვოვა ვალერი ტაბატაძეები, მალხაზ ღონდაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯემალ (მაწო) ნიკოლოზის ძე ტაბატაძე

და სამძიმარს უცხადებენ ინგა, ლაშა და ნელი ტაბატაძეებს მამისა და მეუღლის გარდაცვალების გამო.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ɑ

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.